572
1959/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
ხამამაღლო გაახარეო!“

№ 12 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი
დეკემბერი 1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!

გ. ლეონიძე

ნახატი გ. როინიშვილისა

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
— შემოვდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მომის გადამკოცნელი!..
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!

უოველი შენი ბუჩქი და. ტოტი
მენახოს მზეში დამარჯვნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან
იყოს მარადის გამარჯვებული!

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!

ოქტომბრელები

ქ. ჭილაშვილი

ნახატი გ. გელოვანისა

ბიძინამ ზილა, ზილა პლასტილინი და ბოლოს ისეთი კუდნამგალა მამალი გამოძერწა, რომ „ყიყლიყოს“ დაძახებაღა აკლდა, თორემ ნამდვილი მამალი იყო, მერე რა მამალი!

ბიჭმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი თავის ნასტატარს, მერე წითელ ქაღალდში გამოახვია და სკოლაში წასაღებად ფანჯრის რაფაზე გადაინახა.

გათენდა დილა, და სადღა იყო მამალი?! აქეთ ეცა ბიჭი, იქით ეცა, კვალსაც ვერ მიაგნო.

—ფანჯრიდან გადაფრინდა!..—გამოსძახა ლოგინიდან დამ და საბანი პირისახეზე წაიფარა.

— შენ აიღებდი, მომეცი ახლავე!— მიუბრუნდა ბიძინა დას.

მედიკო გაიტრუნა. ფერადი ქაღალდის ნაკუწები ყვავილებივით მობნეული იყო საბანზე. იქვე საწოლთან პლასტილინის გუნდაც ეგდო... აფსუს, მამალო!..

ბიძინას გული ამოუჯდა დის საქციელზე, მაგრამ ტირილი რა ვაჟკაცის საქმე იყო? მედიკოს ერთი კი უსაყვედურა და გულდაწყვეტილმა გასწია სკოლისაკენ. ის იყო ჭიშკარი გაიჯახუნა, რომ ძახილი შემოესმა:

— ბიძინა, გინდა, ჩემი ნისკარტა წაიყვანე!

— რომელი ნისკარტა?—შემოუტია ბიძინამ ეზოში ღამის პერანგით ჩამოსულ დას.

მედიკომ თითით ანიშნა გობში მოჭყუმპალე იხვის პატარა ჭუჭულზე.

— რა კარგად მოიფიქრე, მედიკო!— შუბლი გაეხსნა ბიჭუნას. უკან გაბრუნდა, დას ჩანთა დააჭერინა და თვითონ ფეხაკრეფით მიეპარა ნისკარტას.

— ჭყვიტ, ჭყვიტ... — აფრთხიალდა იხვი ბიჭუნას ხელში.

— ნუ ჭყვიტინებ, იხვო, სათამაშოების ზეიმზე უნდა წაგიყვანო,—მიეფერა ბიძინა ნისკარტას, გულზე მიიკრა და გზა განაგრძო. ეზოს კარგად არც კი გასცილებოდა, რომ მედიკომ ერთი წიოკობა ატეხა და იქამდე არ გაჩერდა, ვიდრე ძმამ ღობეზე უკან არ გადაუფრინა ნისკარტა.

— კაპარჩხანა, კაპარჩხანა!.. ჯერ მოვიდე სკოლიდან...—დაექადნა გოგონას და გულმოსულმა სულ სირბილით ჩაივაკა.

* * *

ფუტკრებივით ირეოდნენ სკოლის ეზოში ბიძინას თანატოლები. ყველას გაეკეთებინა პატარა სათამაშო და ხელმძღვანელის მოლოდინში ზოგს ზურგს უკან გადაემალა, ზოგსაც წინსაფრის კალთაში ამოეფარებინა. განზე ატუზული ბიძინა დარცხვენილი შეჰყურებდა გამხიარულებულ მეგობრებს და სწყინდა, რომ თვითონ ხელცარიელი მივიდა.

— ბიძინა, იცი, მე „ვოლგა“ გავაკეთე! შენა?—გულმა ვერ მოუთმინა სოსოს და „საიდუმლო“ ნაადრევად გაუმჟღავნა.

— ერთი კარგი მამალი გამოვძერწე, მაგრამ ვიდრე ამ დილით ავდექი, მედიკომ გამიფუჭა...

— ახლა რა უნდა ქნა?—შეფიქრიანდა სოსო ბიჭი.

ბიძინამ უმწეოდ აიჩეჩა მხრები.

სოსომ ხელი გაუბედავად წაიღო ჯიბისაკენ, ყოყმანით რაღაც შეხვეული ამოიღო და ქაღალდი შემოხსნა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, ნახე, როგორი თვითმფრინავია.

— ბიჭოს, ნამდვილი „ტუ—104“,— სახე გაუნათდა ბიჭუნას, თვითმფრინავი ხელისგულზე რამდენჯერმე გააქროლ-გამოაქროლა და უკან გაუწოდა.

— შენი იყოს,—აღარ ჩამოართვა სოსომ სათამაშო, მერე ხელი ჩაჰკიდა და აჟრიამულებულ ტოლებს შეერივნენ.

ჟრიამული კი მარინე პიონერის დანახვაზე შეუდგათ ოქტომბრელებს. თან ჩონგურიც მოეტანა მათ ხელმძღვანელს. იქვე, მოგრძო მაგიდაზე ყველამ თავისი ნახელავი სათამაშო გამოფინა და თვითონაც გარს -შემოუსხდნენ. რაღა არ გაეკეთებინათ ფერადი პლასტილინისა და ქაღალდისაგან მათ პატარა ხელებს: ნაირ-ნაირი ყვავილები, ჩიტუნები, იალქნიანი ნავი, მანქანები, თოჯინები... რა ენა მოსთვლის!

— სათამაშოების ზეიმია!—ხარობდნენ ვარსკვლავიანი გოგო-ბიჭები.

ნამდვილი ზეიმი კი მერე დაიწყო, როცა მარინემ თავის პატარა მეგობრებთან ერთად წკრიალა სიმღერა შემოსძახა! ბოლოს კი გამოუცხადა: ვისაც რომელი სათამაშო მოსწონს, იმას დაეუთმობთ, მხოლოდ ერთი პირობით,— უნდა იცეკვოს, ჩვენ ხომ გასართობად შევიკრიბეთო.

ოქტომბრელებს ვინ აჯობებს მხიარულებაში?

მარინემ ჩონგურზე ახლა საცეკვაო დაახმიანა და ბიძინას მიმართა:

— ბიძინა, აბა, ერთი შენებურად ჩამოუარე!

— მე ცეკვა არ ვიცი...—თავი ჩაღუნა ბიჭმა.

— შენს მეგობრებს ეგონებათ, რომ მართლა არ იცი. მოდი, მე და შენ ერთად ჩამოვუაროთ!—ზეზე წამოდგა მარინე და ჩონგურიანად წრეში გავიდა.

წახალისდა ბიჭი, ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ ისევ უკან დაიწია.

— აბა, უფრო მაგარი ტაში, თორემ ისე ბიძინას არ უყვარს ცეკვა!— წააქეზა მარინემ ბავშვები და იმათაც დაჰკრეს და დაჰკრეს ტაში. ხელმძღვანელმა ბიძინას ხელი ჩაჰკიდა და წრეში დაატრიალა. რაკი ბიჭმა ერთი გაბედა, ჯერ მძიმე-მძიმედ აამოძრავა ფეხები ერთ ადგილზე, მერე კი ისე გაუსვ-გამოუსვა, რომ მტვრის კორიანტელი დააყენა.

ვიდრე პატარებმა ტაში არ შეანელეს, ბიჭუნა არ გაჩერებულა. ჰოდა,— ცისფერი პლასტილინის „ტუ—104“-ც შეინარჩუნა.

ეზოს ჭიშკართან კი, გულზე მიკრული ნისკარტათი, მოუთმენლად ელოდა მედიკო ძმას. აბა, რა იცოდა, „ტუ—104“-ით რომ მოფრინდებოდა სახლში ბიძინა და ნისკარტას აინუნშიც აღარ ჩააგდებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელებმა კარგი მეგობრობა იციან. ისინი კითხულობენ და ხაგავენ, თამაშობენ და მღერიან. დროს მხიარულად აბარებენ.

(ოქტომბრელთა წესებიდან)


ლილა
ბავშვებო! ეფრინა „ილილა“ ყვავილებს ჩვენი ბიბლიოთეკიდან ბავშვთა ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ეს ოფიციალურ ბიბლიოთეკებს ეხებოდა, ბუნებრივია, ეს ოფიციალურ ბიბლიოთეკებს ეხებოდა. ეს, რა გვინდოდეს ბალი.
МУРЗИЛКА
ეს ფილმი, ბიჭ „ეგზეკ“ ბალიანი ბავშვები და ფილმი ბიჭიანები ბალიანი ბავშვები ფილმი ბალიანი ბავშვები ბალიანი ბავშვები ბალიანი ბავშვები



ერთი გემი

ნ. ბეზარაშვილი

ეზოში დიდი აუზი გააკეთეს. შუაში შადრევანი ჩქეფდა. პირამდე მოდიციდიცებული აუზი ბავშვებს ძალიან მოეწონათ. ერთ დღეს მიხამ ქაღალდის გემი გააკეთა და წყალში გაუშვა. მიხას მიბაძა სოსომ, რეზომ, თამაზმა,—მთელი აუზი ქაღალდის გემებით დაფარეს.

— ასე როგორ შეიძლება!—გაბრაზდა მეეზოვე ძია პეტრე,—ამ ქაღალდებს ველარ ამოიღებთ, დაღეპება, გაბინძურდება წყალი!

— ბიჭებო, ქაღალდის გემების გაშვება თუ არ შეიძლება, აი, მე რას გავუშვებ!..—დაიძახა მიხამ, როცა ძია პეტრემ ამოასუფთავა აუზი და წავიდა. მან ჯიბიდან ბრტყელი ნაფოტი ამოიღო, ზედ პაწია კენჭი დაადო და წყალში შეაცურა. სხვებიც ასევე მოიქცნენ. ზოგმა გატეხილი სახაბავი მოიტანა, ზოგმა ჯადრის ფოთოლი და ერთ წუთში ისევ მოიფინა აუზი სხვადასხვანაირი „გემებით“.

ერთხელ მეეზოვემ აუზზე წაასწრო გოგობიჭებს, მიხას სტაცა ხელი და გაბრაზებულმა უთხრა:

— აბა, ერთი უყურე, რას ჰგავს აუზი! რად აბინძურებთ? არა სჯობია, სუფთა იყოს!

— სჯობია,—ჩაიბუტბუტა შეშინებულმა ბიჭმა.

— თუ სჯობია, ყველაზე დიდი ჩანხარ, ყურადღება მიაქციე აუზს, შენმა ამხანაგებმა არაფერი ჩააგდონ!

— კარგი, ძია პეტრე, მაგას რა უნდა. ერთსაც არ გავაპაპანებ აუზის ახლოს, მხოლოდ მე გავაკეთებ ერთ გემს და იმას გავუშვებთ,—წამოიძახა მიხამ.

— მეც ერთზე მეტს არ გავაკეთებ,— დაუმატა სოსომ, მას სხვებიც აჰყვნენ.

— აჰ, აჰ, ასე არ ივარგებს! აბა, დათვალეთ, რამდენი ხართ! ყველამ თითო რაღაცა რომ ჩააგდოთ, აუზრც აივსება. ეს რაღა გამოვიდა, ასე ხომ აღრეც თამაშობდით!—ხელი ჩაიქნია მეეზოვემ და წავიდა.

ბავშვებმა რაღაც მოიღაპარაკეს და დაშაღნენ.

მეორე დღეს აღრიანად შეიკრიბნენ ეზოს ბავშვები. მოიტანეს ღურსმნები, ფიცარი, ჩაქუჩი, გაზი და გაჩაღდა მუშაობა. საღამოს ხანს გემი უკვე მზად იყო. საკვამეე მიღად რეზოს მოტანილი ძველი საყვირი დაამაგრეს, წინ მანანას შეკერილი აღამი გაუკეთეს და ანკარა წყლით სავსე აუზში ჩაუშვეს.

ამის შემდეგ სუფთა, კამკამა აუზში მხოლოდ ერთი გემი დაცურავდა.

ეს გემი ყველასი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხალი ნაძვი

ლ. ჟიჭინაძე

ნახატი ჯ. ლოლუასი

ერთხელ ვაჟას მამამ სულ პაწაწინა ნაძვი მოიტანა და ეზოში სახლის წინ დარგო. ამბობდა: ეზოს დაგვიმშვენებსო. ვაჟა და ეზოს ახალი ბინადარი ზრდაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ნაძვმა აჯობა, უფრო მალე იზრდებოდა.

ერთ გვალვიან ზაფხულს ვაჟამ ნაძვის ხეს მოწყენა შეატყო, წიწვები თითქოს დახწვრილებოდა.

— ჩემო კარგო ნაძვო, ეს რა მოგხვლია?—უთხრა ვაჟამ. სიცხით შეწუხებულ ხეს ჯერ მოწა შემოუბარა, წყალიც დაუსხა. ნაძვი მალე გამოცოცხლდა. ამის შემდეგ წყალს აღარასოდეს აკლებდა ბიჭი.

აი, ერთ დღეს, ზამთარში, ვაჟამ დაუწყო გაკოპწიავება თავის ნაძვის ხეს, თუმცა სილამაზე მას არც მზეში აკლდა, არც თოვლში; აგერ, ტოტზე ციყვი დაუბრძანა, ბლომად დააყარა ბამბა. ხატულა ჩიტებიც შემოაფრინა. ირგვლივ ფერადი ქაღალდის ჯაჭვები და ბრჭყვიალა სათამაშოები შემოავლო, მანათობლად პატარა ელნათურები დაკიდა.

ახე შორთულ-მოკაზმულს თეთრ ქურქში გამოწყობილი ბაბუა დაუყენა ძირში მცველად.

მალე ყველამ გაიგო: უკვე ახალი წელი გათენდა. ლოყებაწითლებული ვაჟა და მისი ამხანაგები ტრიალებდნენ ცოცხალი ნაძვის ირგვლივ, თან ერთმანეთს ულოცავდნენ ახალი წლის მოსვლას.





სანაპიროზე

ჯ. პაუსტოვსკი

ნახატები ალ. ბანძელაძ

— ნეაპოლში რომ ჩახვალ, ეს მატროშკა იმ იტალიელ გოგონას აჩუქე, ვინც პირველი შეგხვდეს,—მითხრა ჩემმა ახირებულმა ქალმა.

იქნება ბევრმა არც იცის, როგორია მატროშკა? ვანკა-ვსტანკასავით ისიც რუსული ხის თოჯინაა, ლოყაწითელი გლეხის გოგო. ორ ნაწილად ადვილად იხსნება. უცხოელს რომ აჩვენოთ, შეიძლება ვერც მიხვდეს, თუ გულში კიდევ სხვა მატროშკები უსხედან.

მატროშკას მხრებზე საუცხოო ალისფერი მოსახვევი ეხვია. ლაქი ბლომად წაესვათ და ისე ბრჭყვიალებდა, გეგონებათ, შუშისაა. შიგნით კიდევ ხუთი მატროშკა იმალებოდა, ნაირფერ მოსახვევიანი.

ნეაპოლი სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა; რაც მარჯვნივ მეგულებოდა, მარცხნივ დამხვდა; ვეზუვის თავზე კვამლი სულ გამქრალიყო, თურმე ორი წელიწადია, რაც აღარ ბოლავს. ამბობენ, სამუდამოდ ჩაქრაო.

ჩვენი გემი დილაადრიან კასტელ-ნუოვოს ციხე-სიმაგრეს მიადგა. გავიარეთ სბაჟოს უზარმაზარი დარბაზი და ფეხი იტალიის მიწაზე დავადგით.

თეთრმუზარადიანი პოლიციელები დაჟინებით გვიცქერდნენ, თითქოს რაღაცას გვემუდარებიანო. თურმე ნუ იტყვით, პოლიცი-





ელებს მოსკოვის სუვენირების („სუვენირო დე მოსკას") მიღება ეწყადათ, პირდაპირ თხოვნა კი ვერ გაებედათ.

სანაპიროზე გავედი. მახსოვდა ჩემი ქალის დანაბარები და პაპიროსის ქაღალდში გახვეული მატრიოშკა ხელში მეჭირა. სანაპიროზე გამავალმა ქუჩებმა თვალი მომტაცა. საუცხოო სანახავი იყო მარმარილოს თეთრი სვეტები და ურთხმელის შავი ტოტები; შადრევნების ბროლივით ნაკადი და ტაძართა ნაირფრად მოელვარე სარკმლები; ირგვლივ ოლეანდრეთა თავბრუდამხვევი სურნელი იდგა. ლამის დამაბრმავა მზის სინათლემ და უცხო ყვავილებით სავსე კალათებმა, ფილაქანზე გასაყიდად რომ გამოეტანათ. გოგონა არავინ ჩანდა. ვინ იცის, გვერდი ჩამიარა და მე კი ვერ შევნიშნე-

მეთქი, ვფიქრობდი ნაწყენი. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი გოგონა დავინახე. ათი წლისა იქნებოდა. პატარა ბიჭუნას ხელჩაკიდებული მოათრევდა და თან გაბრაზებით ჩასჩიჩინებდა. ბიჭი კი რაღაცით დაინტერესებული უკან-უკან იხედებოდა და გვერდგვერდ მოდიოდა.

იქ მართლაც არაჩვეულებრივი სეირი იყო: პატარა გემზე ბებერი, გაქუცული ვირი აჰყავდათ. თავცოცხალს არ უნდოდა ასვლა და ფეხებს ფშეკდა. ბოლოს ღვედი ამოსდეს და ისე აათრიეს. ნავსადგურის ჭრელხალათიანი მტვირთავები კი ვირს უსტვენდნენ და ტაშს უკრავდნენ.

მე გოგონას დავაცქერდი. ის უბრალო და მშვენიერი იყო. ტანთ დაძველებული შავი კაბა ეცვა, ნიდაყვებზე გამოცვეთილი; ფეხზე დაკემსილი წინდები და ძველი უძირო ფეხსაცმელი ემოსა. შავი კაბა შვენოდა მის გამხდარ, ფერმკრთალ სახეს და ქერა ნაწნავებს, რომლებიც გულზე ეყარა დაუდევრად. მომიახლოვდა თუ არა, ქაღალდი გავხსენი და მატრიოშკა გავუწოდე: არ გამომართვა, შეშინებული განზე გამიხტა. ხელი ვტაცე და თოჯინა თითქმის ძალით მივაჩეჩე. მან თავი დახარა და ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ვრაციე, სინიორო[1]!

მერე ხელმეორედ დამიკრა თავი და გაბრწყინვებული, დანამული თვალები შემომანათა.

გამიკვირდა, ამ უბრალო სათამაშომ როგორ გაახარა-მეთქი. მაგრამ, როცა მის გამხდარ მხრებზე ძველ კაბას შევხედე, დავრწმუნდი, რომ მეტად ღარიბი იყო და მატრიოშკა მართლაც დიდ სიხარულს მიანიჭებდა.

მაშინ ჯერ არ მენახა ნეაპოლის სხვა უბნები, სადაც დამპალი ბოსტნეულის მძიმე სუნი ტრიალებს, სადაც დღენიადაგ სამღებროს ბუღი დგას, და ხალხი მაინც ცხოვრობს იქ. ეს სურათები მე გვიან ვნახე. ახლა

[1] გმადლობთ ბატონო! (იტალიური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი ჩემს თვალწინ ნეაპოლი ნებივრად ბრჭყვიალებდა და ზღვას გულუხვად უბრუნებდა მთელ იმ ბრწყინვალებას, რაც მისგან მიელო.

ბიჭუნა ისე პატარა იყო, რომ მატრიოშკა ვერ დაინახა; მაგრამ დის მიბაძვით ისიც ქვემოდან ბუბუნებდა:

— გრაციე, სინიორო!

უცბად ვილაც მომეხვია უელზე და ნაზად ჩამძახა იგივე სიტყვები:

— გრაციე, სინიორო!

თურმე სანაპიროზე მჯდარმა ყვავილების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამყიდველმა ქალმა მოირბინა ჩემთან მადლობის სათქმელად, იტალიელ გოგოს რომ უცხო სათამაშო ვაჩუქე.

ირგვლივ გამყიდველ ქალთა მთელი გუნდი შემომეხვია; მხრებზე ხელს მიტყაპუნებდნენ, მეხვეოდნენ. თვალები სიხარულით უბრწყინავდათ. მატრიოშკა ხელიდან ხელში გადადიოდა.

გოგონას ულოცავდნენ საჩუქარს, ანჯღრევდნენ, ძველ კაბას უსწორებდნენ. ერთმა ხელახლა დაუწნა ნაწნავები და ნარინჯისფერი ბაფთიც გაუკეთა, თითქოს რცხვენოდათ, რომ უცხოელმა „საბჭოთა სინიორომ“ გოგო ასე გამხდარი ნახა, რომ ბავშვს ასეთი ძველი კაბა ეცვა და მათხოვარივით გამოიყურებოდა.

ხალხი თანდათან შეგროვდა. ტაქსის შოფრები მანქანას აჩერებდნენ, კითხულობდნენ, რა მოხდაო, და მერე თავის მგზავრებიანად ჩვენსკენ მორბოდნენ. საიდანლაც მოსწავლეებიც მოცვივდნენ. მატრიოშკას ტაში დაუკრეს და წიგნი წიგნს ისე დასცხეს, ამოგდებული ფურცლები ფრიალ-ფრიალით გაიფანტა. სამხედრო მანქანიდანაც ჩამოხტნენ ჯარისკაცი-ბარსელიერები, ქუდზე მამლის ფრთებით.

უცბად ყველამ ხმა გაკმინდა: ჩვენსკენ მძიმე ნაბიჯებით მოდიოდა საბაჟოს ზედამხედველი. მიუახლოვდა გოგონას, მატრიოშკა ხელიდან გამოართვა და ტუჩმოკუმულმა დაუწყო თვალიერება. გოგონა კი მუდარის თვალით შესცქეროდა. ბოლოს ზედამხედველმა ჩაიცინა, ასწია მატრიოშკა, ყოველმხრივ მიაბრუნა, მერე სწრაფად გადახსნა და იქიდან მეორე ხასხასა მწვანე მოსახვევიანი მატრიოშკა ამოხტა.

ხალხს ნელი, აღტაცებული გუგუნი აღმოხდა. ზედამხედველმა მწვანე მატრიოშკიდან ახლა ყვითელი, ლურჯი და იისფერი თოჯინები ამოაძვრინა.



ბოლოს, როცა სათითისოდენა ოქროსმოსახვევიანმა მატრიოშკამაც ამოჰყო თავი, ირგვლივ ერთი ყიჟინა და შეძახილი შეიქნა. მაყურებლები ტაშს უკრავდნენ, თეძოებზე ხელს ირტყამდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და ხარხარებდნენ.

ზედამხედველმა ასევე გულმშვიდად ჩააწყო ექვსივე მატრიოშკა და გოგონას დაუბრუნა. მან მატრიოშკა ბედნიერებით აძგერებულ გულზე მიიკრა, ბიჭუნას ხელი დასტაცა და სულ სირბილით წავიდა.

ზედამხედველმა დამტვრეული ფრანგულით, ცოტა არ იყოს, ცივად და დარიგების კილოთი მითხრა:

— თქვენ ერთი შეცდომა დაუშვით, ბატონო! სჯობდა ის თოჯინები ექვსი იტალიელი გოგონასათვის დაგერიგებინათ!

ის მართალი იყო. დიახაც აჯობებდა, ექვსი იტალიელი გოგონა გამეხარებინა. ალბათ ამიტომაც მედიდურად მიიდო ქუდზე ხელი და ამაყი ნაბიჯებით გაგვშორდა.

თარგმნა რ. ქებულაძემ

ნახატი
ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგინა ქ. გოგიაშვილმა
ნახატები ა. კანდელაკისა

„თოვლის პაპა“





ვლ. სარჩინოელი

„ყაყაჩოსა სიწითლითა“

გიგლა დედაენიდან ხმამაღლა ხწავლობდა ლექსს.

მისი უმცროსი და ნანა იქვე იჯდა და ყურადღებით უსმენდა. გიგლამ ლექსი გაიზეპირა, წიგნი დახურა და ჩანთაში ჩადო.

— დედიკო, ახლა ერთი კარგი ლექსი ვისწავლე!.. „ყაყაჩოსა სიწითლითა!“ — მიახარა ნანამ დედას.

— ვერ მოგართვეს, ვერა!.. ეს ლექსი შენ კი არა, მე ვისწავლე!.. — შეესიტყვა გიგლა.

— შენ რომ ხმამაღლა კითხულობდი, მაშინ მე ყურს ვუგდებდი და ჩემთვის ვიზეპირებდი, — მიუგო ნანამ და მართლაც ჩაბუღბუღა „ყაყაჩოს“ ლექსი.

თ. ჩხაიძე

ცუგო

ღამე იყო. ცუგო ჰყეფდა. ბუ უსმენდა და ბოლოს ჰკითხა:

— არც ტურა ჩანს, არც მგელი, ვის აშინებ, ცუგო, ყეფით?!

— მე თვითონ მეშინია, ჰამ, ჰამ! — მიუგო და უფრო აყეფდა.

ნახატები მ. ახობაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელია და დათვი

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაბერი. ერთი ქოხისა და ათიოდე ცხვრის გარდა არა ებადა რა. ცხვრებს თვითონ მწყემსავდა.

ერთხელ მალზე ჩამოცხა, ცხვარი ადრე ვერ გარეკა საძოვრად, ფარა შეჯგუფდა და ვერაფრით ვერ გაშალა. შეწუხებული ჩამოჯდა იქვე კუნძზე და ტირილი დაიწყო.

ამ დროს ახლოს მელიამ გაიარა და ჰკითხა:

— რა გატირებს, დიდედა, რა დაგმართიაო?

— ცხვარი ვერ გავშალე, რომ საძოვრად გავირეკოო,— უპასუხა დედაბერმა.

— თუ ერთ ბატკანს მომცემ,— უთხრა მელიამ,— ცხვარს მე გაგიშლიო.

— კარგი, ამოირჩიე, რომელიც გინდა,— დათანხმდა დედაბერი.

ნახატები შ. ცხადაძისა

მელიამ ერთი პატარა ბეკეკა ამოირჩია და ხეზე გამოაბა. მერე შევარდა ცხვრებში და დაიწყო კუდის ქნევა. ცხვარი დაფრთხა და გაიშალა. მელიამ წამოიყვანა ბეკეკა, შუა ტყეში, ერთ პატარა კორდზე ქოხი გაუკეთა და შიგ დაასახლა. თვითონ ტყეში მიდიოდა და ბალახი მიჰქონდა ბეკეკასათვის. როცა წავიდოდა, დაუბარებდა ხოლმე: კარი სხვას არავის გაუღო, რომ დავბრუნდები, თათს შემოვყოფ კარში და გეტყვი:

ბეკეკო, კარი გამიღე,
დედაშენი ვარ მელია,
ნეკერი მოგიცუნცულე,
ნახე, რა გემრიელია!

ბატკანიც დაინახავდა თუ არა მელიის პატარა თათს, კარს გაუღებდა და მის მოტანილ ბალახს ტკბილად შეექცეოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ დღეს დათვმა შენიშნა, რომ მელიას ბეკეკა ჰყავსო, და გადაწყვიტა, როგორმე უნდა შეეჭამოო.

დაუდარაჯდა და ეს სიტყვები დაისმა.

მელია ტყეში რომ გაიგულა, დათვი მივიდა ქოხთან და ბოხი ხმით შესძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
დედაშენი ვარ მელია,
ნეკერი მოგიცუნცულე,
ნახე, რა გემრიელია!

— აბა, ერთი თათი შემოჰყავიო,— გამოსძახა ბეკეკამ.

დათვმა შეჰყო თავისი დიდი თათი.

— წადი, წადი აქედან, მე ჩემი დედობილის თათს კარგად ვცნობ, შენ ის არა ხარ. იმას ჰატარა თათი აქვს, შენ კი დიდი. ხმაც ძალიან ბოხი გაქვს,—გამოსძახა ბატკანმა.

გაბრუნდა დათვი გაწბილებული. თან ფიქრობდა, ის ბატკანი როგორმე ხელში უნდა ჩავიგდო და შევსანსლოო.

წავიდა ტყეში. წვიმიანი დღე იყო. ხედავს, მწყემსებს ცეცხლი დაუნთიათ და ირგვლივ უსხედან. დათვი გადაუხტა, დააფრთხო მწყემსები, თათი ცეცხლში გაიტრუსა, მერე ნაცარში ამოიგანგლა და წავიდა ბატკნის ქოხისაკენ. მივიდა კართან და წვრილი ხმით დაუძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
დედაშენი ვარ მელია,
ნეკერი მოგიცუნცულე,
ნახე, რა გემრიელია!

ბატკანმა დაუძახა:

— აბა, ერთი თათი შემოჰყავიო.

შეჰყო დათვმა თათი, ბეკეკამ ვეღარ იცნო, მელიის თათი ეგონა და კარი გაუღო. შევარდა დათვი, ბეკეკა ზურგზე მოიგდო და ის იყო ტყისაკენ უნდა გაემუნჯულებინა, რომ მელიაც გამოჩნდა. სდგავს, ბეკეკას დათვი მიარბენინებს, და დაუძახა:

— სად მიგყავს, ძმობილო, ბეკეკა? შენ ეგ ერთ ლუკმად არ გეყოფა. მოიცა, გაიზარდოს და აქ არ იქნება! მე შენ უფრო კარგ გასაძღომს გასწავლი. მეც ძალიან მშია. წამო, აგერ აქვე, სოფლის ბოლოს ქორწილი აქვთ, ბოსელში შევიპაროთ და ნასუქ დეკეულს შევაქცეთ. მაურები მთვრალები იქნებიან, ვერაფერს გაგვიგებენ და შეგვრჩება.

დათვს ძალიან გაუხარდა და ბეკეკა ბირს დასვა.

გასწიეს სოფლისაკენ. შევიდნენ ბოსელში. დათვი ეცა დეკეულს და უსულოდ ბირს დააგდო, მიუსხდნენ და ორივენი გემოზე შეექცნენ. კარგად რომ გამოიძღეს მუცელი, მელიამ უთხრა დათვს:

— მოდი ერთი, ჩვენც შემოვძახოთ მაურული, ოდონდ შენ დაიწუე, მე უფლი მტკივაო.

დათვს ისეთი ღრიალი ამოხდა ეელიდან, რომ მაურები გარეთ გამოცვივდნენ.

მელია კარის ბირში გაძვრა და თავს უშველა. დათვი კი მაურებს შერჩა ხელში, დაიჭირეს და იმდენი სცემეს, რომ თემო ამოუგდეს. ბოლოს მაინც დაუსხლტა ხელიდან მაურებს და ნაბეგვ-ნაცემმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა.

ის ღამე კვნესა-კვნესით გაატარა დათვმა. მეორე დღეს ძლივს წამოდგა. ძალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჯავრებული იყო მელიაზე და ეძებდა, უნდოდა ჯავრი ამოეყარა. ხედავს, გორაზე, ერთი ჯაგის ძირას მელია წამოსკუპულა.

— აბა დამიცადე და გაყურებინებ შენს სეირსაო!—დაუძახა დათვმა.

მელიას ცოტა არ იყოს შეეშინდა, მაგრამ უცებ ეშმაკობა მოიგონა.

— შენ ფეხსა ჩივი და მე კი თავი კინაღამ გამიტეხეს. არა გიშავს რა, აქ დამიცადე, გოდორს მოვნახავ, შიგ ჩალაბულას ჩაგიგებ, ჩაგსვამ და მოგარჩენო.

მართლაც, საიდანღაც მოიტანა ერთი დიდი გოდორი, ჩაუგო ჩალაბულა, ჩასვა ეს დათვი, გადაუწნა გოდორს პირი და იმ მთიდან დააგორა. თვითონ კი ბექეკასკენ გასწია, ქოხის წინ დაჯდა და ჩონგურზე დაამღერა:

ბექეკო, კარი გააღე,
გამოხტი კუნტრუშ-კუნტრუშით,
დათვი გოდორში ჩავსვი და
გადავუძახე უფსკრულში.
მაშ, რა ეგონა?! მსუნაგმა
როგორ დაგავლო პირიო!
ველარ გეწვევა წყეული,—
წაიღო შენი ჭირიო!

დამუშავებული ქ. ნადირაძის მიერ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჭია

გ. ჭიჭინაძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

მეც კარგად ვიცი, ბაჭიავ,
რისთვის წაგიხდა გუნება;
გსურს ჩემს ხალათზე ნაქარგი
სტაფილოს ჩაკნატუნება.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის გ. როინიშვილს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთორმეტე წელი

ფასი 2 მან.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბლიტგამი, ტირაჟი 14400

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 650, სტამბის შეკვ. № 2963

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI 1959 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина

№ 12, декабрь 1959 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.